№ 172 აგვისტო 14, ოთხშაბათი 1891 აგვისტო 14, ოთხშაბათი № 172


| გაზეთის ფასი | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაწერად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891


# ახალი სტამბა

მ. შარაძისა ტფილისში

ნიკოლოზის ქუჩაზედ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში,

იქ, სადაც „ივერიის“ რედაქცია იმყოფება, გაიმართა

სრულიად ახალი სტამბა.

სტამბასა აქვს საზღვარ-გარეთიდამ გამოწერილი ახალის სისტემის მსწრაფლ-მბეჭდავი და სხვა და სხვა გვარი მაშინები.

ამასთან გვაქვს ახალი ასოები, როგორც ქართული, აგრეთვე რუსულიცა და სომხურიც. სომხური ასოები გამოწერილია ვენიდგან.

**ყოველ გვარს სასტამბო საქმეს** ქართულ-სომხურ-რუსულს ენებზე

**სუფთად და დროზედ ვაკეთებთ.**

**ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საცნობლად** უმორჩილესად ვაცხადებ, რომ წელს სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებლის პირველს განყოფილებაში ოც-და თექვსმეტი (36) თავისუფალი ადგილია, მეორეში-თხუთმეტი (15), მესამეში (10) ათი და მეოთხეში თორმეტი (12). პირველს განყოფილებაში შემსვლელთ ეგზამენი არ მოეთხოვებათ, რადგანაც ან-ბანის უმეცარნიც მიიღებიან, ხოლო ვისაც შემდეგს განყოფილებაში ჰსურს შესვლა, იმათ შესაფერ განყოფილების პროგრამის ეგზამენი უნდა დაიჭირონ. თხოვნასთან უნდა წარმოდგენილ იქმნას მოწმობა აზნაურობისა, ანუ ბარათი ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა, რომ მთხოვნელი ბანკის დამფუძნებელთა შორის ითვლება.

თხოვნის მიღება დაიწყება 25 აგვისტოდამ და 30-მდე გასტანს დაბა ძველს სენაკში სკოლის ინსპექტორის სახელობაზე. (7—1)

სკოლის ინსპ. სამსონ გ. ყიფიანი.

„ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზია

**1-ლ სექტემბრიდამ**

გადავა საკუთარ სადგურში იმავე (ლორის მელიქოვის) ქუჩაზე, ალექსანდრეს ბაღში, ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, კუთხეში. (5-0-2)


## ახალი ამბავი

*** 17 აგვისტოს, შაბათს, დილის 11 საათზედ, ყოვლად უსამღვდელოესი ეპისკოპოსი ალექსანდრე აკურთხებს საძირკველს ახალის ეკკლესიისას, რომელიც შენდება მცხეთის სამთავრო დედათა მონასტერში ქართველთა განმანათლებელის, მოციქულთა სწორის წმ. ნინოს სახელობაზედ. საჭირო ფული ამ ეკკლესიის ასაშენებლად ზოგი შემოწირულია მოსკოვის მიტროპოლიტის იოანიკესაგან და ზოგიც ხსენებულ მონასტრის იღუმენია ნინოს მიერ არის შეკრებილი.

*** ტფილისის გუბერნატორი თ. გ. დ. შერვაშიძე გუშინ ამ თთვის 13, ღამის მატარებლით ტფილისში ჩამოვიდა გორისა და ახალციხეს მაზრების დათვარიელების შემდეგ.

*** გუშინ ბათუმში გაემგზავრა რკინის გზით ებრაელთა სამი ოჯახობა, რომელნიც არგენტინის რესპუბლიკაში მიდიან ბარონ გირშის ხარჯით.

*** კავკავის გზის გაკეთების შესახებ ინჟენერი გურჩინი დეპეშით ლარსიდამ ამ თთვის 12 იუწყება; სადგურ ბალთისა და ლარსის შუა საეტლო გზა გაკეთებული იქნება ამ თთვის 14. ცხენოსანთა გასავლელი ბილიკი გაკეთდა ლარისსა და დარიალის ხიდის შუა, დარიალის ხიდიდამ კლდემდე მდინარე ამილიშკის ქვემოდ, და მდინარე ამილიშკიდამ ყაზბეგამდე. გასაკეთებელი დარჩა: დარიალის ხიდის კედელი და ამოსაშენები ალაგები კლდის ქვებს შუა, რომელიც ნიაღვარს მოუგორებია. მდინარე ამილიშკის პირდა-პირ, სადგურ კობსა და ყაზბეგს შუა მდინარე თერგს მოუტაცნია გოდორყურები. ტენგისშემაგრება ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც მდ. თერგი საშინლად ჰგლეჯავს ნაპირებს და ღრმავდება,

*** ვერაფრად ეჭაშნიკათ ჩვენს ბობოლა-ყასბებს ხორცის ნიხრის შემცირება, შეწუხდნენ და გაიძახიან, „გვიშველეთ, ვიღუპებით, ნიხრს მოუმატეთ, თორემ ჩვენს ზარალს ბოლო აღარ ექნებაო“. ამ გვარის შინაარსის სათხოვარი მისცეს ამ რამდენისამე დღის წინად ქალაქის გამგეობას შეძლებულმა ყასბებმა. წვრილად მოვაჭრე ყასბები თურმე ამათგან ჰყიდულობენ დაკლულს საქონელს ერთ კაპეიკ ნაკლებ იმ ნიხრზედ, რომელიც ინიშნება ხოლმე გამგეობისაგან.

ნიხრის გამწესებელმა კომისიამ კიდევ გამოიკვლია, რამდენად მართალია ყასბების საჩივარიო. იყიდეს ხუთი სული საქონელი იმ ფასად, რა ფასად თვით ყასბებს ჰქონდათ ნაყიდი, დაჰკლეს და ისე იანგარიშეს. კომისიამ აღმოაჩინა, რომ ეხლანდელი ნიხრი არა თუ საზარალოა ყასბებისათვის, პირ-იქით, ცოტაც რომ კიდეც დავუკლოთ ნიხრს, ყასბები მაინც ზარალში არ იქნებიანო, თუ რომ ბობოლა-ყასაბი კაპეიკის მაგიერ ნახევარ კაპეიკს დასჯერდება მოგებას წვრილად მოვაჭრე ყასბებისაგან დაკლულის საქონლის გაყიდვაში.

*** ქალაქის თავის მოადგილეს ბ-ნს იზმაილოვს დროებითის დათხოვნის ვადა გაუთავებია, დაბრუნდა ტფილისში და ისევ შეუდგა თავის თანამდებობის აღსრულებას, რომელსაც დროებით გამგეობის წევრი ბ-ნი ივანოვი ასრულებდა.

*** მოკლე ხანში შემოღებული იქნება რკინის გზებზე სამკურნალო სამსახურის დებულება. ამ დებულების ძალით რკინის გზებისათვის სავალდებულო იქნება, რომ ყოველს სახალხო მატარებელში ფერშალი იყოს. გზებზედ იმდენი ფერშალი უნდა იყოს, რამდენიც კონდუქტორების დასია სახალხო მატარებლებისა და ერთიც საგანგებო მატარებლისა და იმ შემთხვევისათვის, როცა მორიგი ფერშალი ავად გახდება. ყოველს მატარებელში უთუოდ უნდა იყოს ცალკე განყოფილება (კუპე), რომ, ვინიცობაა, უეცრად ავად გახდეს მგზავრი, იქ დააწვინონ; მატარებელშივე უნდა ჰქონდეთ უსაჭიროესი საექიმო მასალა და წამლები, რომ პირველი შემწეობა აღმოუჩინონ ხოლმე ავადმყოფს.

*** ქალებს კიდევ ახალი გზა ეხსნებათ. საერო განათლების სამინისტროს გადაუწყვეტია, რომ ქალებს ფარმაცევტების ადგილი მიეცეთ ხოლმე. სამინის-

---

# ფელეტონი

### რქა-წითელი

(კოდევილი ერთ მოქმედებად)

ფრანგულიდგან.

(იხ. „ივერია“ № 171)

### სცენა IV

გიქუა, ანეტა და ცოტა ხნის შემდეგ ელისაბედი.

გიქუა. (ანეტას) იმ თახჩებს-კი არა შეედრება-რა. მოზდილებია—დიდი ბოჩკები ეტევა შიგა. ავავსებ ხოლმე ღვინით, მივხურავ კარებს, გაუგდებ რკინას, დავკეტავ და ვარ მოსვენებით: ვერც ერთი ბიჭი ველარ მიუდგება ღვინოს უჩემოთ.

ანეტა. ჰო, თქმა არ უნდა, ჩინებულათ არის მოწყობილი: რკინას ჟანგი მოეკიდება, და არა თუ ბიჭები, თვით პატრონიც ველარ გააღებს კარებს, მანამ ჩილინგდარს არ მოიყვანს.

გიქუა. (წამოსტება). რა მატრაკვეცა რამა ხარ, შე საძაგელო! სიტყვას ვერ ამოვუშვებ პირიდამ, რომ შენგან გაბიაბრუებული არ გავხდე!

ანეტა. კარგი, კარგი, რაკი მაგრეა. ამას იქით მოვკუმამ ტუჩებსა და ხმას აღარ ამოვიღებ, თუ-კი ასე გწყინს ჩემი ლაპარაკი.

გიქუა. განა მე გიშლი ლაპარაკს! სულაც არა. თქვი, რამდენიც გინდა, მაგრამ ისა მწყინს, რომ ვერ იქნა შენ ჩემი სიტყვა ვერ მოგაწონე. განა რაც მე ვთქვა, შენ ჩემი ყაბული არ უნდა გქონდეს? სხვა არა იყოსრა, შენი მამა ვარ და ამიტომ შენ მოვალე ხარ, როცა გელაპარაკები, სიტყვა არ გამიქარაფშუტავო.

ელისაბედი. (ჩამოდის სანთლით კიბეზე). აბა, ქა, რა ამბავში ხართ, რასა სცოდვილობთ?

გიქუა. (მიეგებება ცოლს, ხელში ბოთლი უჭირავს) ფთხილად გადმოდგი ფეხი, დედაკაცო, ფთხილად! ვერა ჰხედავ, ბოთლიკები აწყვია!..

ელისაბედი. (შუა სცენაზედ გამოვა) რა დაგემართა, გიქოჯან, ემაგრე მთელი დღე სულ სარდაფში გინდა იყო?!.

გიქუა. დღეს რქა-წითელი უნდა გადავიღოთ ბოთლებში.

ელისაბედი. რას ამბობ?

გიქუა. შენ და შენს თავს, კაი ყურების პატრონი შენა ხარ! ეს ოხერი, რათ მავიწყდება, რომ ელისაბედი, აგერ ერთი წელიწადია, თანდათან უფრო და უფრო ყრუვდება! როგორც ეხლა აიმ რუმბს არ ეყურება-რა, ისე ამას!.. (ძალზე ჩასძახებს ყურში) აის რქა-წითელი უნდა გადავიღოთ დღეს ბოთლებში. გაიგონე, დედაკაცო!

ელისაბედი. რა დაგმართვია, ქა! ყურში რას ჩამძახი? მესმის, ყრუ ხომ არა ვარ!

გიქუა. მადლობა უფალს, გაიგონა! მაშ გაანელე სანთელი! (უყვირის) სანთელი გაანელე, მეთქი!.. (გამოჰგლეჯავს ხელიდამ სანთელს, გააქრობს და ძირს დასდებს).

ელისაბედი. ქა, როგორ არ მესმის. ყველაფერი მესმის. მეტადრე თუ გარკვევითა ლაპარაკობენ, სიტყვაც არ გამომეპარება ხოლმე.

გიქუა. ჰო, რა საკვირველია, კარგა გესმის... ჩემი ნატვრაც ეგ არის... მაგრამ ეხლა-კი დავანებოთ თავი მასლაათსა და მოდი, გვიშველე. (აწვდის ორ ბოთლს) ხომ ჰხედავ, ყველანი ვრეცხავთ, აბა ერთი შენც დატრიალდი, დედაკაცო.

ელისაბედი. (გამოართმევს) ქა, ბოთლებს რას მაწვდი! რათ მინდა, მე ხომ შენთვის ბოთლებზე ხმაც არ ამომიღია!

გიქუა. მაშ ჩემი ნალაპარაკევი შენ კარგა გაგიგონია!.. აკი ვამბობ—დაყრუვდა, მეთქი, ერთიან ეს ჩემის ცოდვით სავსე! (ჩასძახის ყურში) დღეს რქა-წითელი უნდა გადავიღოთ ბოთლებში, რქა-წითელი, ყრუჩუჩ! (ქალს) მოდი, ქალო, შენ მაინც გააგებინე ამ დაწყევლილს!

ანეტა. (ჩასძახის მეორე ყურში) რქა-წითელი უნდა გადავიღოთ, ბოთლებში უნდა ჩავასხათ... დღეს უნდა ჩავასხათ.

ელისაბედი. როგორ თუ დღეს! რასა ჰლაპარაკობთ?!. ხომ არ გადარეულხართ! დღეს ხომ უქმეა!

გიქუა. ფიქრი ნუ გაქვს. დღეს ჩინებულათ გავატარებთ დროს... ანეტა „ვეფხვის-ტყაოსანს“ წაიკითხავს და ვისიამოვნებთ. რის დარდი გაქვს.

ანეტა. დედას-კი ვერ გავაგონებ და რას ისიამოვნებს!

გიქუა. არა უშავს-რა! მე ხომ გავიგონებ. (ელისაბედს) დედაკაცო, პროპკები ხომ არ იცი, სად არის?

ელისაბედი. ჰა?

გიქუა. ზურნა!.. პროპკები, მეთქი, დედაკაცო, პროპკები სადა გვაქვს შენახული?

ელისაბედი. პროპკებს მაღლა პერედნაში მოვკარ თვალი. იქ სტოლზე აწყვია ტომრებით.

გიქუა. მაშ აბა ერთი ავალ და ჩამოვიტან.

ივანიკა. (მარცხენა კარს შემოაღებს და შემოიტანს კალათებით ბოთლებს). აი, ბატონო, ბოთლები. სულ მოვხვეტე, რაც იყო, ცარიელი ბოთლი მეტი აღარა გვაქვს.

გიქუა. (ადის ზევით. ივანიკას) ბოთლები ძირს დააწყე და წამო ზევით, შენთან საქმე მაქვს (ცოლსა და ქალს) აბა, თქვენ იცით, როგორც მარდათ გაირჯებით და გაჰრეცხავთ ბოთლებს, (ადის. ივანიკა დააწყობს კალათებს და ზევით წავა)

### სცენა V

ელისაბედი და ანეტა.

ანეტა. (ბოთლს ძირს დასდებს და წამოდგება) ოხ, დედაჯან, დავიღალე. ლამის მხრები დამცვივდეს!

ელისაბედი. (ჰრეცხავს ბოთლებს) მადლობა ღმერთს. ძლივს მარტოკანი დავრჩით დედა და შვილი. შენთან, შვილო, მოსალაპარაკებელი მაქვს... შენ გენაცვალოს, ანეტა, შენი დედა, რაღა დაგიმალო... ეხლა იმ ასაკში ხარ, რომ დროა გათხოვებაზედაც ვიფიქროთ... ყმაწვილი აღარა ხარ, შვილო... ნუ გრცხვენიან, გენაცვალე, რასა სწითლდები!..

ანეტა. ვწითლდები, როგორ არა! ვამბობ—ნეტავი არ იქნება, ერთი მალე გავთხოვდე, მეთქი, და ეს-კი მეუბნება სწითლდებიო!

ელისაბედი. (არც ესმის და არც ყურს უგდებს) შენ, შვილო, ლამაზი ქალი ხარ, კეკლუცი მოყვანილობა

ტრომ მიწერილობა გაუგზავნა ყველა სამოსწავლო ოლქის მზრუნველს და ამ მიწერილობაში ნათქვამია, რომ ქალებს ნება აქვთ აფთიაქებში მოსწავლედ შევიდნენ, თუ რომ საქალებო გიმნაზიაში სწავლა დამთავრებულნი იქნებიან და „საოჯახო მასწავლებლობის“ (домашней учительницы) მოწმობაც ექმნებათო; ამასთანავე აფთიაქში შესვლისათვის უნდა იცოდნენ კიდევ ლათინური ენა სავაჟო გიმნაზიების ოთხის კლასის კურსისაო.

*** ფინანსთა მინისტრს უკვე წარუდგენია სახელმწიფო საბჭოში ხელოსანთა შეგირდების შესახებ კანონ-პროექტი. დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ახალს კანონ-პროექტს ხელოსანთა შეგირდების სკოლებში სწავლებისათვის. ამ პროექტის ძალით, სახელოსნოების პატრონი ვალდებული იქნება, დანიშნულს დროზედ თავისი შეგირდი სკოლაში ატაროს და თავისის ხარჯით ასწავლოს წერა-კითხვა. ამის თვალ-ყურის სადევნებლად ამორჩეულნი იქნებიან განსაკუთრებითნი ზედამხედველნი, რომელთაც ხელოსანთა მზრუნველები ეწოდებათ სახელად. ხელოსანთა მზრუნველმა უნდა თვალყური ადევნოს, რომ შეგირდმა დანიშნულს დროზედ სკოლაში იაროს და სწავლას მუყაითად მისდევდეს. მზრუნველის მოვალეობა იქნება აგრეთვე, რომ შეგირდები სახელოსნოებში ბინძურად არ იყვნენ და გარეშე იმ საქმისა, რომლის შესასწავლად იგი მიუბარებია პატრონს, შეგირდი სხვა საქმეზედ არ იყოს მიჩენილი სახელოსნოს პატრონისაგან. სახელოსნოს პატრონი ვალდებულია, მამობრივად ეპყრობოდეს თავისს შეგირდს, არა სცემდეს და გადამეტებულს შრომას არ აძლევდეს სახლში და სხვ. და სხვ. შეგირდის სმა-ჭამასაც უნდა მიაქციოს ყურადღება ხელოსანთა მზრუნველმა და აუცილებლად აასრულებინოს ხელოსანს შეგირდებისთვის ყველა დაპირება მოვლა-შენახვისა. შეგირდის აყვანა ხელოსანს ხუთის წლის ვადის მეტით არ შეუძლიან; სწავლის შემდეგ შეგირდი უნდა გამოიცადოს სამის მცოდნე კაცის მიერ და მიეცეს პირველ ხარისხის მოწმობა და საჩუქარი. თუ გამოცდამ აღმოაჩინა, რომ შეგირდი ჯერ მომზადებული არ არის, შეუძლიან კიდევ დარჩეს ხელოსანთან ერთის ან ორის წლითა, ხოლო თუ საშუალო ცოდნა გამოიჩინა, იმ შემთხვევაში შეგირდს შეუძლია ოსტატის თანაშემწეს ადგილზედ მიებაროს სახელოსნოში, რომ ხელობა საბოლოოდ კარგად შეისწავლოს. თუ ხელოსანი შემჩნეული იქნება, რომ წესს გადასულა თავისს უფლებაში, შეგირდს სასტიკად ეპყრობა, გადამეტებულს ჯაფას აძლევს, შინაც ცუდად ინახავს და სხვ. ამ შემთხვევაში იგი არა თუ კერძო პირობის დამრღვეველად იქნება ჩარიცხული, არამედ დამარღვეველადაც საზოგადოების წინაშე მოვალეობისა და ამის მიხედვით იქნება დასჯილი და ზოგიერთს შემთხვევაში — სრულიადაც აეკრძალებათ შეგირდების შენახვა. იმ ხელოსანს, რომელიც, კეთილსინიდისიერად აასრულებს თავისს მოვალეობას და ამას ხელოსანთა მზრუნველი და საქმის მცოდნე კაცები დაამოწმებენ, ნება აქვს მოითხოვოს, რომ მისი მოღვაწეობა აღიარებულ იქმნას.

*** სოფელი აჩნეთი (ქუთაისის მაზრა) მარიამობის თთვის 8, ღამით, საათის ათზე, თავს დაესხნენ მოსაკლავად მამასახლისს დავით კოპალეიშვილსა და რევოლვერით დასჭრეს თეძოში. საქმე ამნაირად იყო: კანცელარიიდგან მოსული მამასახლისი იჯდა დარბაზში, ფანჯარასთან ახლოს, პურის ჭამად. ამ დროს შევიდა ვიღაც კაცი თოფით ხელში და მიიწია მამასახლისთან სასროლად? მამასახლისმა შეატყო, რომ უდროო სტუმარი საკეთილდღეოდ არ იყო მისული, წამოვარდა ზეზე შესძახა „შე უსინიდისო, მკლავო?“ ეტაკა თოფიანს, გააგდო კარში და მიაწვინა მოაჯირზე. ამ დროს იქ, კედელთან, მიმალული კაცი მიეშველა პირველს ხანჯლით. მამასახლისმა ამასაც სტაცა ხელი, ორივე ერთად მიაწვინა მოაჯირზე და გამობრუნდა დარბაზში იარაღის ასაღებად. ამ დროს ავაზაკმა მოაწრო კარებში შესვლის დროს რევოლვერის სროლა და თანაც სცდილობდა სახლში შესვლას, მაგრამ დაჭრილმა მოასწრო კარების ჩაკეტა და მორთო ყვირილი: „მიშველეთ, მომკლესო“. ყვირილზე გამოცვივდნენ მეზობლები. შეშინებული ავაზაკები ტყეში გაცვივდნენ და დაიმალნენ. მეორე დღეს ადგილობრივს ბოქაულს შეატყობინეს, რომელმაც ეს ამბავი ბ. გუბერნატორს დეპეშით აცნობა. ბ. გუბერნატორმა გამოგზავნა მაზრის უფროსის თანაშემწე ბ. ჩიქოვანი და ადგილობრივი ბოქაული. უკანასკნელმა დაწვრილებით გამოიძია საქმე. მამასახლისმა დამნაშავედ დაასახელა მ.—ბელი და კ. მ.

*** გორი: როგორც უკვე უწყიან „ივერიის“ მკითხველებმა, 18 მაისს სოფ. ქემერტში მცხოვრებელის ანდრია მეტრეველის სახლს დაეცნენ შუაღამისას ავაზაკები და წაიღეს 800 მ. და სხვა ნივთები. გარდა ამისა, ანდრია მეტრეველის ოჯახობა ტასია, ქალი, ბარბარე, და სიძე, გიორგი მძინარაშვილი, მძიმედ დასჭრეს. ავაზაკები ვერ იცნეს, ვინ იყვნენ და ვინ არა, რადგანაც სახლში შესვლის უმალ ხანჯლები დაუშინეს და უგონოდ გახადეს. ამის თაობაზედ იყვნენ დაბარებულები გორში ამ მარიამობისთთვის 10-ს, ცხინვალის გამომძიებლის განკარგულებით, ანდრია მეტრეველის სახლობა ტასია, ბარბარე, პატარა ქალი და სიძე გიორგი მძინარაშვილი. გამოცხადების შემდეგ გორში ბ-ნმა გამომძიებელმა გორის მაზრის საპყრობილეში წაიყვანა, რომ ეჩვენებინა ტატე ჯიოშვილი, სანდრო ხუბულური და ალექსი ხასიშვილი, აბა იცნობენ, თუ არაო. მეტრეველის სახლობამ ვერც ერთი ავაზაკი ვერ იცნო და გამომძიებელს უთხრა, არ ვიცით, ჩვენ ვერ ვიცნობთ, ესენი იყვნენ, თუ სხვებიო. მაშინ ერთს ავაზაკს ტატეს გაეცინა და ბ-ნს გამომძიებელს უთხრა, ნურავის ცოდოს ნუ დაიდებთ და ნურავის დააბრალებთო: ანდრია მეტრეველის სახლიც ჩვენ ავიკელით, ფულიც ჩვენ წავიღეთ და კიდეც ჩვენ დავჭერითო. ჩვენ ასე გვითხრეს, რომ მეტრეველს ათასი თუმანი აქვს და იმიტომ დავჭერით, რომ ეთქვათ, ფული სადა ჰქონდათო. მეტრეველის ქალმა უთხრა ავაზაკს, შვილს რაღად, მიკლავდი და ყელს რათ მიჭრიდიო. იმიტომ, რომ ფულს უფრო მოგვცემდითო. საკვირველი ის არის, რომ საცა ვინ გაუძარცვიათ ამ ავაზაკებს, ან ვინც სად მოუკლავთ, სულ ამბობენ, ჩვენ ვიყავით, ნურავის ნუ დააბრალებთო.

*** რუისი. ყველას მოეხსენება, რომ სოფ. რუისში იცის დღეობა— ფერიცვალობა; ამ დღეობაზე მრავალი ხალხი დაესწრობა ხოლმე საქეიფოდ. ტაძარი შუა სოფელშია და დღეობაზე იმისთანა ვიწროობაა ხოლმე ეკკლესიის გალავანში, რომ ადამიანს თავისუფლად გავლა ვერ შეუძლიან; ამის გამო მეტადრე მთვრალს ხალხში ბევრი უსიამოვნება ხდება. ისე არ გაივლის ეს დღეობა, რომ თუ არავინ მოჰკლეს, დაჭრით ხომ უთუოდ ვისმე დასჭრიან. ჩვეულებისამებრ ამ თთვის ხუთს მრავალმა ხალხმა მოიყარა თავი დღეობაზედ; უეცრად, საღამოს ცხრა საათი იქნებოდა, ხალხში ერთი ალიაქოთი შეიქნა: თავადი საშა ბექთაბეგოვი ხმალ ამოღებული დეედევნა ვანო მამაცაშვილსა; მამაცაშვილმაც იშიშვლა ხმალი და დაიწყო გერება ბექთაბეგოვისა, თან უკან მიდიოდა, რომ ასცილებოდა უბედურობასა, მაგრამ ბექთაბეგოვმა შემოუქნია ხმალი და ვ. მამაცაშვილი მხარში ძალიან დასჭრა; ამ დროს მამაცაშვილს ორი სხვა მომხრე ჰყავდა და არეულობაში ვერავინ გაიგო ამ სამში, რომელმა დასჭრა მკლავში ბექთაბეგოვი. ხალხმა ორივე მოჯიბრე გააშველა. მამაცაშვილი წაიყვანეს თავისს სახლში, ხოლო ბექთაბეგოვი სიმამრისას. ბექთაბეგოვისთვის ხეირიანად ვერ მოეარნათ, რის გამოც სისხლიდგან დაცლილიყო და გათენებისავე გარდაიცვალა. მამაცაშვილი უფრო ძალიანაა მხარში დაჭრილი, მაგრამ ექიმი თურმანიძე იმედნეულობს, რომ მორჩებაო.

*** „ნოვოე ობოზრ.“-ეს შეუტყვია, რომ ამ თთვის დამლევს ტფილისში მოელიან ფინანსთა მინისტრის ამხანაგს ბ-ნ ტერნერსაო.

*** „ტ. ლისტოკ.“-ს გაუგონია, რომ მოკლე ხანში ტფილისში ახალი კლუბი უნდა დაარსდეს, რომელსაც საავრონომიო კლუბი ერქმევა სახელადაო. ამის მოთავედ ქართველთა რამდენიმე შემძლე მემამულე არისო,—ამბობს გაზეთი—და კლუბის წესდების შემუშავებაც უკვე დაიწყესო.

მოთავეთ ის განზრახვა აქვთ, რომ მომავალ საავრანომიო კლუბის წევრებად მხოლოდ ჩვენის ქვეყნის მემამულენი იყვნენ და აგრეთვე მეურნეობის სხვა-და-სხვა ნაწილის მცოდნე კაცნიო.

რაღა თქმა უნდა, მეტად სასიამოვნო ამბავია ეს ამბავი და ვისურვებთ სიტყვა საქმედ ქცეულიყოს. საავრანომიო კლუბი, იმედია, ისეთ ადგილად გადაიქცევა ჩვენ მემამულეთათვის, სადაც დრო-გამოშვებით მეტად სასარგებლო და საჭირო ცნობების განმარტებასა და ერთმანეთს შორის გაზიარებას უპირველესი ადგილი ექმნება...

*** გაზ. „კასპი“ იუწყება, რომ ოქტომბრის თთვიდამ ბაქოში ოპერეტებისა და ბალეტების გამართვას დაიწყებენ იქაურს სცენაზედაო. ეს ორი დასი ეყოლება მთელს სეზონში ბ-ნს ფორკატის, რომელსაც უკვე დაუქირავებია მოდასენი მოსკოვში და თეატრიც ბ-ნ ტაგიევისა ბაქოში ხუთის წლით ვალით.

*** 12 ამ თთვისას თაიროვის ქუჩაზე, სარუხანოვის სახლში, სმოლენსკის გუბერნიის მცხოვრებელმა ფეოდოსია ვოლოკიტინმა

---

გაქვს და მშვენიერი გულმკერდი. ფიქრი ნუ გექნება—შენი მთხოვნელები ბუზებივით ირევიან.

ანეტა. დედი ჯან, რამდენჯერ მითქვამს შენთვის, რომ ახალგაზდებში კნიაზ ლევანის მეტი მე არავინ მომწონს, მეთქი. კაპიტანია, ყოჩაღია, მოხდენილი და კაი გვარის ქართველი.

ელისაბედი. (არ ესმის) ჰო, შვილო, შენ გენაცვალე, მე ვიცი, რომ შენ უმანკო ხარ და ჯერ გულში არავის სიყვარული არ გაგიტარებია... ისიც კარგა ვიცი, რომ მშობლების სურვილს ძირს არ დაუშვებ...

ანეტა. (თავისთვის) რა წყალში უნდა ჩავარდე! ხომ ვერ დავიყვირებ— კნიაზი ლევანი მიყვარს-მეთქი! ქვეყანას ხომ ვერ შევატყობინებ!... რა ვუყო, როგორ გავაგებინო ამ საწყალს ჩემი დარდები!..

ელისაბედი. საქმროს ამორჩევისთვის შენ თავს ნუ შეიტკიებ. მე და მამა შენი ცუდათ არ დავიჭერთ საქმეს. ჯერ გამოვიკითხავთ, რა კაცია, ვისი დედ-მამის შვილია, რა ხელობას ადგა. მერე ავიღებთ, დავიღებთ... აუჩქარებლივ, დინჯათ... და რომელიც მოგვეწონება... დამაცა, მათქმევინე, შვილო. სიტყვას-კი ნუ მაწყვეტინებ...

ანეტა. მე ხმაც არ ამომიღია, დედა.

ელისაბედი. და თუ ყოველისფერში კარგი გამოდგა, თუ გარყვნილი არ იქნება, ეყვარები შენა და ჩვენი პატივისმცემელიც იქნება, მაშინ ჩვენც შეგატყობინებთ—აგერა, შვილო, მავანი და მავანი ვაჟია, ამოგირჩიეთ საქმროთა და შენ რაღას იტყვიო? შენც გელის პასუხს გამოაცხადებ.

ანეტა. მერე შორს სიარული და დაგვიანება საქმისა რა საჭიროა, როდესაც გეუბნები, რომ მე კნიაზი ლევანი... (თავს შეიკავებს) არა, ისევ ქაღალდზე დავუწერ, თორემ ცუდათ არის საქმე...

### სცენა VI

იგინივე და გიქუა

გიქუა (ჩამოდის და ტომრებით პროჰკება მოაქვს) აჰა, ესეც პროპკები! (ანეტას) ქალო, უქმათა სდგეხარ!

ანეტა. დავიღალე, მამავ!

გიქუა. (დაუთვლის ბოთლებს) სულ ექვსია, მეტი არა!.. გაურეცხია რაღაც ექვსი საცოდავი ბოთლი და იძახის—დავიღალეო! ვერაფერი საქმის დედაკაცი დასდგები, ჩემო ქალბატონო... (მოაგონდება) ვაჰი, დასწყევლა ღმერთმა ჩემი გულისყური! დამავიწყდა მეთქვა ივანიკასთვის, რომ ლაქა დაედნო პლიტაზე ბოთლების დასაბექდავათ... ანეტა, ანეტა, აირბინე, გეთაყვა, და...

ანეტა. (გარბის) დიდის სიამოვნებით!...

გიქუა. სიამოვნებით-კი, მაგრამ ემავ წუთში უკან დაბრუნდი. გესმის!.. დაბრუნდი!

ანეტა. (თავისთვის) მაშ, რაღა მიქნია! თქვენ უჩემოთაც კარგ დროებას გაატარებთ!

ელისაბედი. ვენაცვალე ჩემს ანეტას. მაგისთანა ზდილი ქალი იშვიათია!

გიქუა. ზდილი, ზდილი! აღარ იქნება!.. ჰო, აი შენთან ორი წერილი მოიტანა ფოჩტალიონმა.

ელისაბედი (გამოართმევს წერილებს) ქა, მე წერილს არავისგან ველი. (გახსნის ერთს მათგანს) ვუი, თვალებო!

გიქუა. რაო? რა ამბავია?

ელისაბედი. (ხმა-მაღლა კითხულობს): „პატივცემულო ელისაბედ ოსეფოვნავ! როგორც ამას წინად მიბრძანეთ, დღეს ჩემი დისწული გიახლებათ თქვენსა და თავის პირითა გთხოვთ ხელს თქვენის ქალისას. იმედი მაქვს, რომ მოწყალებით მიიღებთ არშაკ მორთულიანცს, როგორც საუკეთესო სასიძოს!“

გიქუა. როგორ თუ სასიძოს! ისიც დღეს, როცა მე რქა-წითელი უნდა გადვიღო! აბა, შე კარგო ადამიანო, დღეს რა დროს სიძეები გქონდა!

ელისაბედი. ჩემი ძმების შერჩენამ, მე სულაც არ მითქვამს, რომ დღეს მოვიდეს ჩვენსაო. არშაკ მორთულიანცის ბიძა იმ დღეს—ორშაბათი იყო, მგონი—ჩვენსა იყო. მართალი გითხრა, რაღასაც მელაპარაკებოდა, ყური ვერ ვუგდე კარგა. ხომ იცი, ყარაბაღელია და უფრო სომხურათა ლაპარაკობს... შენი არ იყოს, არც მე მესმის კარგა სომხური და იქნება სასიძოზედაც მელაპარაკა... აბა რა ვიცი.

გიქუა. არღუცი აგიტყდეს შენა, კაი დედაკაცი შენა ხარ. ერთი ვის ატყუილებ შენცა-და! რის სომხური, რა სომხური!... ისა სთქვა, რო ყრუ ხარ და სულაც რომ წმინდა ქართულზე ელაპარაკნა, შენ მაინც ვერ გაიგებდი! მგონია ინდაურივით სულ თავს აკანტურებდი,—რაც უნდა ეთქვა, შენი პასუხი ეს იქნებოდა: „დიახ, დიახ... შატ ლავნე... ჩვენთვის დიდათ სასიამოვნო იქნება... ბევრს დაგვავალებ“... მე კარგათ ვიცი დედაკაცების ხასიათი და ისიც ყრუჩუჩა დედაკაცებისა... ამისთანაებს წამოჰროშავდი სიტყვა-პასუხის გულისთვისა, და იმასაც ეგონებოდა—საქმეზე მოველაპარაკე ქალსაო... მაგრამ ეჰ, რა გაეწყობა... მობძანდეს. ჩვენც დაუხვდებით, ვნახოთ, რა ბიჭია. თუ ჭკვაში დაგვიჯდება, რატომ... ჰმ... ექვსი ბოთლი!... ექვსათ- ექვსი ბოთლი!... მეტი არა!...

ელისაბედი. (გახსნის მეორე წერილსა და წამოიძახებს) ვუი ჩემს თვალებს!

გიქუა. ეგ რაღა ჯანდაბაა?

ელისაბედი. (კითხულობს) „თქვენო პატიოსნებავ ელისაბედ ოსეფოვნავ! რომელიცა რომა დღეს გიგზავნით ჩემს ნათლულს. ლეო ვეფხვაური თუშია, მაგრამ, როგორც იმ დღეს მოგახსენეთ, ძლიერ ნასწავლი ყმაწვილია, ზავრანიცებშია ნატარი და შეძლებაც კარგი აქვს. ლამაზს ქალს ეძებს და ანეტასთანა ლამაზს ხომ დუნიაზედაც ვერ იპოვნის. იმედი მაქვს, რომ სალაპარაკოთ აჩვენებთ თქვენს ქალსა, ნახონ ერთი ერთმანეთი და სიტყვა უთხრან. თქვენი სოფიო სარდალაძისა“.

გიქუა. ვა, მეორეც გამომტყვრალა! ეგ კაი ამბავია.

ელისაბედი. არა მესმის-რა... სოფიო ჩვენსა სწორეთ სამშაბათს იყო... დიდხანს და სულ რაღაცეებს ლაპარაკობდა... გული გამიწვრილა ... ყურიც არ მიგდია...

თავის სადგურის სამზარეულში თავი ჩამოირჩო.

*** ამავე დღეს პოლიციის მეათე ნაწილში ჯარის-კაცი სიმონ ჩოხენმტოკი ცხენით მიდიოდა. გზაზე გუტბროტის ლუდით დატვირთული ფურგუნი დაეტაკა, წააქცია და დააშავა. დამნაშავე პასუხის გებაში მისცეს.

*** 12 აგვისტოს, დილის 11 საათზე, რეუტისა და ალექსანდრეს ქუჩებ შუა ქვის ოსტატი იოსებ რამაზისძე ოქროპირძე 65 წლისა ვალერიან მელქუმოვის სახლში მუშაობდა, ათის ადლის სიმაღლიდგან ჩამოვარდა და გარდაიცვალა.

*** 11 აგვისტოს, ღამის 11 საათზე, სოფ. მალხაზოვკას მცხოვრებელმა ტროფიმ ხამუტოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ რიყეზე ჯიბიდგან ძალად წამართვეს 15 მანეთიო. დამნაშავენი გრიგოლ ზიუზინი, ივანე და ვასილ დრუჟინი პოლიციამ იპოვნა და შეიპყრო.

---

## არჩილური, შვიდ-თავი

(სამდროო ამიცანები)

—

სწავლების ღვაწლი უკვდავი თანა
სდევს ამის სახელსა;
არ ჰზოგავს მისთვის ქონებას, სიმრთელეს, თავსა და ხელსა,
მტკიცედ მიმავლობს, ახოვნად, მას
ეკლიანსა გზას ძნელსა;
საწერსაც ასწრებს, საქმნელსაც, არცა
მოსცდება სათქმელსა;
ორძილობს სწავლა მის ხელში, ახარებს ყველა მნახველსა;
ნეტაი ბევრმა წაჰბაძოს ამ კეთილისა
მსახველსა!

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. მეჯრუხევი**, 10 აგვისტო. ქართლის სოფლებში მეჯრუხევი ერთი უდიდესთაგანია. აქაური ხუთასამდე მოსახლე კაცი თითქმის ყველა მევენახობას მისდევს, რადგან აქ ღვინო უკეთესის ღირსებისაც არის და თითქმის ცხოვრების ერთად-ერთს სახსარსაც შეადგენს. ქართლში სულ რამდენიმე სოფელია ღვინის მოსავლით ნაქები. ხიდისთავსა, ატენსა, მუხრანსა, დამპალასა, თეზსა და სხვა ღვინის მოსავლით ნაქებს სოფლებს შორის მეჯრუხევს უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს. აქ ძვირად იქნება ისეთი მოსახლე, რომ ერთი ჩარექი, თუ ნახევარ დღის ადგილი მაინც არა ჰქონდეს ვაზით მოშენებული. იმისთანა მოსახლეებიც არიან, რომლებსაც რვიდგან თორმეტ-ცამეტ დღიურამდე ზვრები აქვთ გაშენებული. საერთოდ რომ კომლზედ დღე ნახევარი ვენახი ვიანგარიშოთ, თითქმის შვიდას რვაასი დღიური შესდგება. ამ ვენახების მოსავლის თითქმის ოთხს მეხუთედს ჰყიდიან და ამით ჰყიდულობენ სხვა სალეველსა და ხშირად პურსაც. ცოტა რომ ვსთქვათ, რიგიანს მოსავალობას აქაური მოსახლე ხუთიდგან ათ კოკამდე გაჰყიდის კოკას თუმანზედ არა ნაკლებ და ხუთმეტს მანეთზე არა უმეტესს. კოკაში ოცი ბაზრის თუნგია. ბევრი ჰყიდის ორმოც სამოც კოკობით, ზოგი-კი ას კოკობითაც.

ღვინის მოსავლიდამ ამ სოფელს ორი ათას თუმნამდე ექნება სარგებლობა. თუ იმასაც ვიანგარიშებთ, რომ აქაური ხვნა-თესვა ხელს არ აძლევს სოფლელებს, რადგან: 1) ალაგი სულ მებატონეებისაა; 2) ალაგის ვიწროობაა; 3) წყლის სიცოტავე; 4) ადგილის სიმწირე, ასე რომ მოსავლის დროს რვა კოდიდგან ათ კოდამდე ძლივს იძლევა და მოუსავლობის დროს სამ კოდიდგან ოთხ კოდამდე, როდესაც მოსავლიანს ადგილებში დღიური ოც კოდამდის ადის, ამას გარდა, თუ მხედველობაში ვიქონიებთ იმ გარემოებას, რომ სახნავი ადგილები ზოგი ურწყავია და უწვიმობის დროს ხშირად სცდება და ხარჯს ძლივსააყენებს ხოლმე, დავრწმუნდებით, რომ ვენახებს ჩვენში ერთი-ორად და სამად მეტი ფასი სდევს, ვიდრე იმ ღვინის მოსავლიანს ადგილებში, სადაც, ღვინოს გარდა, პურიც კარგად მოდის.

ამას შემდეგ რაღა საკვირველია, რომ ჩვენს თავს დიდი უბედურება დაატყდება, თუ ვაზის ავადმყოფობა მოედო ჩვენს ვენახებს. ღმერთმა-კი დაგვიფაროს ამ სენისაგან და უნდა გამოვტყდეთ, რომ ვაზს შიგა და შიგ ფოთოლი გაუხმა, გასცვივდა, მტევანს მარცვალი შეაჭკნა და გასცვივდა. ეს მოვლენა თითქმის ყველა ვენახსა და ყველა ჯიშის ვაზს ემჩნევა, უფრო-კი ანდრიულს, მწვანეს და საფერავსა. თუ სთვლამდე უმატა, ცოტა-კი არა, შესამჩნევი ზარალი მოგვივა წელსვე, როდესაც ისე ძალიან ასხია, რომ ვისაც-კი ვენახი აქვს, იმისგან მოელის ცხოვრებას. რაც შეეხება მერმისს, მაშინ ხომ უნდა სულ გამოვემშვიდობოთ ჩვენს საცხოვრებელს. ეგება ამ ჭირის გამოქვეყნებით წამალი რამ გვეღირსოს გორის მაზრაში ვაზის ავადმყოფობისა და მის წამლობისათვის მთავრობისაგან გამოგზავნილ კომისიისაგან, რომელიც, მართალია, ერთხელ თუ ორჯელ იყო ჩვენშიაც, მაგრამ ამით შველა ბევრი არა მოგვეცა-რა, რადგანაც ამოდენა ვენახების ერთის მესამედის გასინჯვასაც-კი დიდი შრომა და ჯაფა სჭირია. ამისთანა სოფელს, როგორც მეჯრუხევია, ორი და სამი ნახვა არ ჰკმარის. კარგს იზამდა კომისია, რომ ამოერჩია, სასინჯად და საწამლებლად ის სოფლები, სადაც განსაკუთრებით ბევრი და კარგი თვისების ღვინო მოდის, და ეშველა რამე ჭირისთვის.

მეჯრუხეველი

---

## მეფუტკრეობის გავრცელება სასულიერო წოდებას შორის

დიდად გვესიამოვნა ის ამბავი, რომ დეკანოზი ნაუმოვიჩი კავკასის მხარეში აპირობს მეფუტკრეობის დაწყებას, რომ ჩვენის ეკკლესიის სანთლის მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. რასაკვირველია, ვისურვებთ, რომ განზრახული საქმედ ქცეულიყოს, იქნებ ამით მაინც ცოტა გავრცელდეს ჩვენში ეს სასარგებლო დარგი მეურნეობისა. ჩვენში ბევრი მღვდელი გააკვირვა ამ ამბავმა.—„ვინ მღვდელი, ვინ დეკანოზი და ვინ ბუზების დევნაო!“ დიდად, სამწუხაროა ასეთი შეუგნებლობა სასულიერო წოდებისა. თითქმის მთელის რუსეთის გამოჩენილი მეფუტკრეები მღვდლებ-დეკანოზები არიან, გამოჩენილი მეფუტკრე მთელს რუსეთში მღვდელ-დეკანოზთაგან 15-მდეა, ჩვენში-კი დიოგენის ფარნით რომ ეძებო, ერთს მღვდელს ვერა ჰნახავთ, რომ მეფუტკრეობა იცოდეს და საფუტკრე ჰქონდეს. ისეთი ეკკლესიები ხშირია, საცა-კი რამდენიმე ძირი შეწირული სკა არის, მაგრამ ვის ხელშია დღეს ეს სკები? ეკკლესიის მოსამსახურეების ან კერძო კაცის ხელში, რომლებიც ვერ უვლიან და ვერა ჰპატრონობენ. ვილაც მადლიანს კაცს თუ შეუწირავს ორი ან სამი ძირი სკა, ესეა ათიხუთმეტი წელიწადი და თუ არა კლებულობს, არა ჰმატულობს. დროა, სულიერმა მამებმა რუსის მღვდლებს მიჰბაძონ და იმათებურად მიჰყონ ხელი შრომას, მეტადრე ისეთს შორმას, რომელიც დროს ბევრს არ წაართმევს, ტვინს მოძრაობაში მოიყვანს, ჯიბეს მოუთბობს, ყელს ჩაუმტკბანურებს, ბნელს გაუნათლებს, ღვთის წინაშე შეავედრებს, ბაღს დაუმშვენებს და შრომის მაგალითს მისცემს. ამათის წყალობით და მიბაძვით ხალხშიაც გავრცელდება მეფოტკრეობა.

იშვიათია ისეთი სასულიერო სასწავლებელი, რომ იმასთან ბაღი არ იყოს. თუ არა ვცდებით, უწმიდესის სინოდის გარდაწყვეტილებით უსათუოდ ყოველს სასულიერო სასწავლებელში თეორიულადა და პრაქტიკულად უნდა შეასწავლონ მოსწავლეებს მებაღეობა და მებაღის დასაჭერად გადადებულია 400 მან. და ბაღის შემოსავალი. კარგი იქნებოდა, ამ მებაღეებად ისეთი კაცები მოეწვიათ, რომელთაც მებაღეობაც შეეძლებათ, სკის კეთებაც და ამასთან მეფუტკრეობაც, და ყველა ეს ესწავლებინათ მოწაფეებისათვის. მაშინ მეფუტკრეობის სწავლება სავალდებულო უნდა გახდეს. პირველ კლასიდგან მოკიდებული IV-მდე დღეში რომ თითო გაკვეთილი მისცენ, მეფუტკრე ადვილად შეიძლებს ამ საგნის ხეირიანად სწავლებას. სასულიერო სასწავლებლიდგან გამოსული მოწაფე თავისს მშობლებს შეასწავლის და სოფელშიც გაავრცელებენ.

ამ რიგად, ათს წელიწადში სამაგალითოდ გავრცელდება, როგორც ხალხში, ისე სასულიერო წოდებას შორის მეფუტკრეობა. კარგი იქნებოდა კიდევ, რომ ეკითხათ სასულიერო სასწავლებლები ლექციები მღვდლებისათვის და ეჩვენებინად იქვე მაგალითები. ამასთანავე კარგი იქნებოდა, რომ, ვისაც ჯერ არს, დახმარებას აღმოუჩენდეს და ეს საქმე სამრევლო სკოლებშიც დაიწყებდეს. სასულიერო სასწავლებელში საფუტკრე რიგიანად მოეწყობა და 100 მანეთზედ მეტი არ დაჯდება და ამ ფულს-კი თვით ფუტკარი შემოიტანს ორის წლის განმავლობაში.

ს. ნიგოითი
აგვისტოს 10

აპოლონ წულაძე

---

## წერილები რედაქციის მიმართ

### I

ჩვენის სამშობლოს სხვა-და-სხვა კუთხიდგან თითქმის ყოველ დღე მოგვდის სამძიმრის წერილები და დეპეშები ჩვენის ძმის მამია გურიელის გარდაცვალების გამო; მისი მეგობრები და მისი კალმის პატივისმცემელნიც გვიცხადებენ თავის გულის ტკივილს დაკარგვისა გამო ჩვენის ქვეყნის ერთგულის მოღვაწისა. ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ, როგორც მე, აგრეთვე ჩემი ძმებიც, თქვენის გაზეთის შემწეობით ჩვენი უგულითადესი მადლობა და პატივისცემა განუცხადოთ ყველა იმათ, ვინც ჩვენი ნუგეშისცემა ინება ამ უსაზღვრო მწუხარების დროს.

იმედი მაქვს „ახალი მიმოხილვის“ რედაქციაც დაგვკავალებს და გამოაცხადებს ამ ჩვენს უგულითადესს მადლობას.

ჯამბაკურ გურიელი

---

### II

ნება მომეცით, თქვენის გაზეთის შემწე-

---

გიქუა. ჰო, რა თქმა უნდა! ყური რომ დაგეგდო-კი, სულ მძივივით აჰკრებდი იმის სიტყვებს!... ალბათ იმას თავისი დარდები ულაპარაკნია, შენ კიდევ მჯდარხარ და წარამარად გისვრია სიტყვები—„დიახაცაო, ჩვენთვის დიდი ბედნიერება იქნებაო... ოღონდ-კი რითიმე გასიამოვნოთო... თავსაც არ დავიზოგავთო“. იმასაც შენი ნათქვამი მართლა პასუხი ჰგონებია. ჰააჰა! არც აქეთა და არც იქით... დედაკაცი!... რა გასაჩენი იყო დედაკაცი!... დედაკაცი თავის ქალსაც-კი არ დაჰზოგავს და მზაა მიათხოვოს მთელი ქვეყნის ახალგაზდა ბიჭებს!...

ელისაბედი. ეგეც შენი ორი სასიძო!...

გიქუა. თანაც ზედიზედ-და!... მე ვიცი, ისინი ერთმანეთს გადასჭამენ აქა! აფსუს, ჩემო რქა-წითელო! ვილაც ბიჭ-ბუჭებისათვის უნდა გიღალატო ეხლა! ეშმაკმა წაიღოს მაგათი თავი და ტანი, აქ რას მოეხეტებოდნენ, ნეტავი ვიცოდე!...

ელისაბედი. მაგას-კი მართალს ამბობ სწორედ, ინდაურები უნდა დავაკვლევინოთ სტუმრებისათვის... წავალ და უბძანებ.

გიქუა. ინდაურები-კი არა, სასიძოები, მეთქი, დედაკაცო! რას ამბობ?...

ელისაბედი. (გაიღიმებს თანხმობის ნიშნათ) დიახ, დიახ, გიქოჯან! რა თქმა უნდა, შამფურზე შემწვარი უფრო უკეთისი იქნება.

გიქუა. ერთი ხელი აიღე, თუ ქრისტე გწამს-და! ჭირი შენც მომჭამე, შენმა ინდოურებმა და შამფურებმაც!... ეს რა ცეცხლს გადავეკიდე, თქვენი ჭირიმეთ! ან-კი როგორა ვარ აქამდე სრულ ჭკვაზე!... (უცებ გულს მოიბრუნებს) მაგრამ ეჰ, რა გაეწყობა!... მანამ ახალგაზდა იყო ელისაბედი და ლამაზი, მიყვარდა, და განა ეხლა, როცა დაბერდა, უნდა მოვიძულო? ღმერთმა ნუ ქნას! (ელისაბედს) ჰო, ჰო, ჩემო ელისაბედ, შამფურზე შემწვარი ბევრათ აჯობებს. (თავისთვის) ჯერ კიდევ მოვასწრობთ რქა-წითელის გადაღებას. სასიძო ვაჟ-კაცები, მგონი, სადილობამდე არ მოვლენ. (ავა გვერდის კართან და იძახის) ანეტა, ქალო! ივანიკა! რა დაგემართათ, ჩამოდით, ნუ იგვიანებთ. (ცოლს) ივანიკამ ბოთლები რეცხოს, შენ დაწმენდილები მაწოდე, მე-კი მოვხსნი ბოჩკასა და გადვიღებ რქა-წითელს ბოთლებში...

ელისაბედი. მაშ რა-კი მაგრეა, პირველი თავი ჩიხირთმა იყოს. დედლებს დავაკვლევინებ.

გიქუა. (გაშტერებული) ერიჰაააა! კიდევ გაუტია თავისებურათ! მე ალთას ვამბობ, ეს ბალთას მიპასუხებს. მერე ვინ დაიჯერებს, რომ ეს უბედური ერთ დროს ისეთი ლამაზი ქალი იყო, რომ მთელ ქალაქში ცალი და ბადალი არა ჰყავდა. ეს რომ მთვარესავით გამოანათებდა ქუჩაში, ეედევნებოდნენ ჯეელები შორიახლოდამ და სულ გულის ფიცარი ჩანგრეული ჰქონდათ გულზე ხელის ცემისაგან. ვინ მოსთვლის, რამდენი სისულელე არ ჩამიდენია ამისთვის!... ერთხელ ალექსანდრეს ზევითა ბაღში, საცა ეხლა რაღაც კაზარმა ააშენეს... მაშინ კაი სასეირნო ადგილი იყო... შორიდგან თვალი მოვკარ ელასაბედს, და გულმა სულ ბაგა-ბუგი დამიწყო. სარდაფის საქმეები ვილას ახსოვდა!... ვაჰი, დროებავ, შე ტიალო!... (ჩამოჯდება ბოჩკასთან, მოჰხსნის პირს, აავსებს ბოთლსა, გაჰხედავს სინათლეზე. ელისაბედი უკანა ზის და ბოთლსა ჭრეცხავს) იფ, იფ! რა ფერი აქვს-და! აბა ერთი გემოც გავუსინჯოთ (დაასხავს სტაქანს, უნდა დალიოს. ამ დროს ჩამოირბენს ანეტა).

### სცენა VII

იგინივე და ანეტა

ანეტა. (საჩქაროდ) მამავ, ზევით გეძახიან.

გიქუა. (წამოხტება) ვინ ეშმაკი და ქაჯია? დამალევრევინა ღვინო! უთხარი შინ არ არის-თქო! დამეკარგოს ვილაც ოხერია!

ანეტა. ჩვენი მეზობელი ივანოვია, აქციზნი ჩინოვნიკი... ივანიკამ უთხრა, რომ შენ სარდაფში ხარ, და ისიც პირდაპირ აქ მოდის. ფერჩატკებს იხდიდა.

გიქუა. (უცებ მოსწორდება) ჰო, ეგ სულ სხვა საქმეა. წელანვე ემაგრე იტყოდი, შე კაი ქალო, და! მაგისთანა კაცების წყენა ხელს არ მოგვცემს. მართალია, მაგისგან მე სიკეთეს არას ველი, მაგრამ ზარალი ბევრი შეუძლიან, თუკი რამ მიზეზი მივეცი...

ანეტა. დაიკარგოს იქიდამ! თავი მომაბეზრა: როცა-კი ქალაქში ჩამოვდივართ, ზის დილიდამ საღამომდე თავის ბალკონზე და სულ ჩვენს ბაღში იყურება, თითქო დაჰკარგვია რამეო. მაგისთანა ულაზათო კაცის მნახველი არა ვარ. ნეტა მეზობელი მაინც არ იყოს...

გიქუა. მაგას ნუ იტყვი, ანეტა. მაგისი ბალკონი საგანგებო რამ არის. სიმართლე სჯობია, კაცს იქ ჯდომა თავის დღეში არ მოსწყინდება.

ანეტა. ძალიანაც კარგი იყოს, მე ხომ არ ვედავები, მაგრამ ის მეჯავრება, რომ თავის თეთრი თვალებით კატასავით შემომცქერის, თითქო უნდა ჩამყლაპოსო. დასწყევლა ღმერთმა!.. (მარჯვნივ გაჰშორდება).

ელისაბედი. გიქოჯან, არა კმარა ბოთლების რეცხვა?

გიქუა. ამან თუ შეუფერებელი რამ არ წამაისროლა, არ მოხერხდება. (ჩასძახის ყურში) ჩვენსა სტუმრათ მოსულა აქციზნი ივანოვი.

ელისაბედი. (შეშინებული) უწინამც დღე გაუქრეს მაგ შეჩვენებულს!..

გიქუა. ვა, დედაკაცო, ხატის ღვინო ხომ არ დაგილევნია, რა დაგემართა?

ელისაბედი. (თავისთვის) დასწყევლა ღმერთმა მაგისი მეზობლობა, დასცა თავისი ლახვარი! დგას ქალაქ-უწყალო დღე და ერთი ისეთი თვალით მიყურებს, ისეთი, ისეთი... ქა, რაღა დროს ჩემი ეგ ამბებია!.. დასწყევლა ჩემმა გამჩენმა!..

ივანოვის ხმა. გეთაყვა, ჩემთვის ნუ შესწუხდებით.

გიქუა. სწორედ ის არის! კაბა მომაწოდე, ანეტა, ჩქარა!.. (მოიხსნის დასტამალს, გაეშურება კაბისკენ და ამ დროს შეეჯახება ივანოვს).

(შემდეგი იქნება)

ობით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო იმათ, რომელთაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ჩემ სასარგებლოდ დ. ხონს გამართულს წარმოდგენაში, სახელდობრ: ქ-ნს ელ. მირზუაშვილს, ქ-ბნს ს. ლორთქიფანიძისას და ქ-ნს ლ. ჭავჭანიძეს; ბ-ნთ პ. ჩხიკვიშვილს, მიხ. სანაძეს, დ. ვ. ქუთათელიძეს, კ. ქუთათელიძეს, ალ. სანაძეს და მიხ. სალარაძეს. აგრეთვე მადლობას ვუცხადებ ქ-ნს ეკ. გოგოლაშვილს ბილეთების გაყიდვაში დახმარებისათვის და ი. შარაშიძეს სახლის უსასყიდლოდ დათმობისათვის. წარმოდგენიდგან დარჩენილი ათი თუმანი უკვე მივიღე.

პროკოპი ჩხენკელი.

3 აგვისტო
დ. ხონი.

### III

გიგზავნით ხუთს მანეთს და ვთხოვ რედაქციას, მამია გურიელის ძეგლის ასაგებ ფონდის ასსარგებლოდ გადასდოს. იმედი მაქვს, რომ ჩვენი ქართველობა, მარტო პოეტის თხზულებათა გამოცემას არ დასჯერდება და ძეგლსაც აუგებს განსვენებულს პოეტს.

გიორგი სამსონის ძე წერეთელი.

ქ. ქუთაისი.

## დეპეშა

12 აგვისტო

**პეტერბურგი.** გაზეთები იუწყებიან, განსაკუთრებულმა ბჭობამ ფინანსთა სამინისტროში პურით ვაჭრობის განსაკარგებლად შემდეგი დააკანონა ჭინახულის ხარისხის მოხედვით დასაყოფადო: იმისი გარჩევა, თუ რომელის ხარისხისაა რომელისამე კაცის ხორბალი, საწყობებსა, ნავთ-სადგურების მაღაზიებსა და ელევატორებში შენახული, მიენდობა მეთვალყურე კომიტეტს ხორბლის ხარისხის დაგვარად დაყოფისას, ინსპექტრებს პურით ვაჭრობისას და ინსპექტორებს ელევატორებისას. თავმჯდომარედ კომიტეტებისა უნდა იყვნენ გამგენი სახელმწიფო პალატებისა და სახელმწიფო ქონებათა, ხოლო წევრებად წარმომადგენელნი ადგილობრივ სამაზრო საკრებულოთა და ქალაქის საზოგადოებათა და ინსპექტრები პურის ვაჭრობისა.

**სარატოვი.** საგუბერნიო ერობამ გაგზავნა სამი მაკლერი ბირჟისა კავკასიასა და სამხრეთსა და ჩრდილო გუბერნიებში 1.700,000 მან. პურის სასყიდლად.

**ნიჟნინოვგოროდი.** რუსულის უბრალო მაუდით ვაჭრობა ნელა მიდის. ფასები 7%-მდე უფრო იაფია. ჩითეულობაზე 15% უკლებენ. რუსული და ამერიკული ბეწვეულობა ნაკლებად იყიდება. კიახტის ჩაი შარშანდელზე ძვირად იყიდება. შაქარი 5 მ. 25 კ.—5 მ. 40 კ. კიევის შაქარი 5 მ. 50 კ.; ფხვნილი შაქარი 4 მ. 75 კ.—5 მ. 40 კ.-მდე.

პეტერბურგის ბირჟა, 9 აგვისტო

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7¾ | 7, 11 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 155 | 156 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 11 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 237¾ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 227 |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | 212½ | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ - კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს გადაზე გემები.

## განცხადებანი

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამა სასარგებლო იგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებული მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება - დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| პატიოსანი ადამიანი . . | „ | 5 |
| ლენტის მსგავსნი ჰიები ი. თ. . . . . . | „ | 5 |
| მეფე დავით აღმაშენებელი, ისტორიული დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისა . . . | „ | 40 |
| უკინასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგ. თ. სახოკიასი. . . . . | „ | 30 |
| სამნი ბრძენნი, ილ. ოკონთელისა. . . . . | „ | 20 |
| ძმური სიტყვა. დ. მაჩხანელისა . . . . . | „ | 25 |
| იქავე ისყიდება-**თორნიკე ერისთავი**, ისტორიული პოემა აკაკისა . . | 1 | „ |

„წერა-კითხვის საზოგადოების“ **წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| „ვეფხის-ტყაოსანი“ მე-12 გამოცემა, ოზურგეთში; ფასი . . . . . . | „ | 30 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| სამი ბრძენი, ილ. იკოთელისა. . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა. . . . . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ლექსები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელისა. . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა - სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . | 1 | „ |
| ბრძენი . . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკურის და ლოღიკურის ანალიზებისა. . . | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა, ყდით . | „ | 50 |
| Книга Калилаһ и Диманаһ или сборникъ Басенъ извѣстныхъ подъ именемъ басенъ Бидпая, переводъ съ арабскаго М. О. Аттая и М. В. Рябинина, цѣна . . | „ | 3 |

САПОЛИТИКО ДА САЛИТЕРАТУРО ГАЗЕТИ

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | |
|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . 5 ,, 25,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . 4 ,, 70,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“ ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგმანი თ. სახოკიას-მიერ . . . | „ | 30 |
| „ცვარი“ საყმაწვილო წიგნი, სურათებით, შ. მღვიმელისა. | „ | 30 |
| ლენტის მსგავსნი ჰიები ი. თ. . . . . . . | „ | 5 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ, წიგნი I. | „ | 30 |
| იგივე, მშვენიერის ყდით . . . . . . | „ | 75 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით და ბიოგრაფიით. | „ | 80 |
| იგივე მშვენიერის ყდით . . . . . . | 1 | 25 |
| „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი. . . . . . . | „ | 15 |
| „სურამის ციხე“, გამოც. მესამე გრ. ჩარკვიანისა . . | „ | 25 |
| „მარაბდა“ პოემა ანტ. ფურცელაძისა . . . . | „ | 20 |
| „წყალობა“, პოემა მისივე . . . . . . | „ | 20 |
| „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა“ ანუ „მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა“ გამოცემული რედაქტორობით და წინასიტყვაობით ე. თაყაიშვილისა. . . . . . . | „ | 40 |
| ანდერძი ანტონის მე-II, საქართველოს კათალიკოსისა, გამოცემული დ. ფურცელაძის მიერ. . . . . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელისა . . . . . . | „ | 15 |
| „სამი ისტორიული ხრონიკა“ ექვ. თაყაიშვილისა . . | 1 | „ |
| „Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა. . . . . . . . | „ | 50 |
| „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის“ ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. . . . . | „ | 50 |
| „ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა“, შარაბიძისა . | „ | 60 |
| „დემეტრეს სახლობა“, მოთხრ. ს. მგალობლიშვილისა . | „ | 15 |
| „თამარ-ბატონიშვილი“, ისტორ. რომანი რჩეულიშვილისა | 1 | „ |
| „Руско-грузинскій словарь“ вновь составленный по новѣйшимъ словарямъ, დ. ჩუბინაშვილისა . . . . . . | 3 | „ |
| „არჩილიანი“, გამოც. მაჩიტაძისა-დიმელისა . . . | „ | 75 |
| „მიბაძვა ქრისტესი“, თხზ. თომა კემპელისა, თარგ. ლათინურიდგან ა. მღებრიშვილისა, წიგნი მე-III და მე-IV ყდით. . . | „ | 80 |
| იგივე უყდო . . . . . . . . . | „ | 60 |
| „მიბაძვა ქრისტესი“, წიგნი I. და მე-II. ყდით. . . | „ | 70 |
| „შვილის აღზრდა“, პედაგოგიური წერილები თ. ხუსკივაძისა | „ | 20 |
| „ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა“ გ. იოსელიანისა. . | „ | 20 |
| „ძეგლის-დება“ მეფე გიორგი ბრწყინვალესი“ ნ. ურბნელისა | „ | 25 |
| „იავნანამ რა ჰქმნა“, მოთხრ. ი. გოგებაშვილისა. . . | „ | 10 |
| „კიკოლას ნაამბობი“, ისტ. პოემა აკაკისა . . . | „ | 20 |
| „ბორკილი“, დრამა, თარგ. ა. ახნაზაროვისა . . . | „ | 40 |
| ქანნა-დარკ . . . . . . . . . | „ | 5 |
| ბერლინის გარემოცვა. . . . . . . . | „ | 5 |

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ შემდეგის ადრესით უნდა მიჰმართონ: Тифлисъ. Въ Книж. Магазинъ „Грузинскаго Издательскаго Товарищества“, Лорисъ-Меликовская ул., д. Зубалова.

Дозв. ценз. Тифлисъ, 13-го Августа 1891 г. სტამბა მ. შარაძისა, დროებითი რედაქტორი გრ. ყიფშიძე გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.